



გიორგი, ი. მუხომანი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-14/2163

ქ. თბილისი

05 07 2019 წ.

დისერტაციის დაცვის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 26-ე მუხლის, სტუ-ის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2019 წლის 10 ივნისის (ოქმი №25) გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს დოქტორანტ ნანა ავაგუმაშვილის, (პირადი №01022000659), რომელსაც არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, დისერტაციის დაცვა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე. სადოქტორო პროგრამა – „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“, სადისერტაციო თემა – „ფინანსური ინფორმაციის ანალიზი ენერგოსაწარმოებში“.

სადისერტაციო კოლეგია:

- პროფესორი ნანა სამსონია (თავმჯდომარე, სტუ);
- პროფესორი ლალი ბოჭორიშვილი (ხელმძღვანელი, სტუ);
- პროფესორი გურამ ამყოლაძე (მოწვეული რეცენზენტი, სასწავლო უნივერსიტეტი "გეომედი");
- ასოცირებული პროფესორი მზია მოისწრაფიშვილი (მოწვეული რეცენზენტი, სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი);
- პროფესორი დემურ ჩომახიძე (სტუ);
- ასოცირებული პროფესორი მაკა გუდიაშვილი (სტუ);
- აკადემიური დოქტორი კონსტანტინე გორბატოვი (მოწვეული წევრი, შპს "პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი").

2. დისერტაციის დაცვა შედგება 2019 წლის 12 ივლისს, 14⁰⁰ საათზე, სტუ-ის VIII კორპუსის №805 აუდიტორიაში.

რექტორი

არჩილ ფრანგიშვილი